



შენაბამისთვის აუდიტის ანგარიში



სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	9
აუდიტის კრიტერიუმები	9
აუდიტის მიზანი	9
აუდიტის მეთოდოლოგია	10
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
აუდიტის მიგნებები	10
სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დადასტურების გარეშე ანაზღაურებული თანხები	10
გზის ერთსა და იმავე მონაკვეთზე გაწეული ხარჯები და ბიუჯეტზე მიყენებული ზიანი	12
სამუშაოს შესრულების ვადის დაუსაბუთებელი ცვლილება	17
საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები	23
ტექნიკის დაქირავების ხარჯი	24
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში არსებული ხარვეზები	26
აუდიტორთა ხელმოწერები	27

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ექსპერტი – სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი;

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

საპროექტო დოკუმენტაცია – საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის 2016-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- დეპარტამენტის მიერ გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები, მაშინ როცა ფარული სამუშაოს აქტებით არ არის დადასტურებული სამუშაოს ფაქტობრივად შესრულება, არ არის შეფასებული შესრულებული სამუშაოების ხარისხი და ფარულ სამუშაოებზე არ არის დადგენილი მოცულობები;
- ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამოდ. ამასთანავე, მიღება-ჩაბარების აქტებით შესრულებაში ნაჩვენები მოცულობები არ შეესაბამება ფაქტობრივად განხორციელებულ სამუშაოებს და გამოვლენილია მნიშვნელოვანი დანაკლისი, რაც საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ხარჯვის რისკებს წარმოშობს;
- დეპარტამენტი მიმწოდებლისათვის საჯარიმო სანქციის თავის არიდების მიზნით, ცალკეულ შემთხვევაში დასაბუთების გარეშე აგრძელებდა ხელშეკრულების მოქმედების და სამუშაოს შესრულების ვადებს, რითაც ბიუჯეტმა დაკარგა დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. ამასთანავე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო, მოსახლეობამ დროულად ვერ მიიღო დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები;
- დეპარტამენტმა რიგ შემთხვევებში, არათანაბარი კონკურენციის პირობებში, არაპროპორციული, დისკრიმინაციული მიდგომით შეარჩია პრეტენდენტები და გამარჯვებულად გამოავლინა ყველაზე მაღალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი. აღნიშნული ქმედება სახელმწიფო შესყიდვის პირობების კონკრეტულ პრეტენდენტზე მორგების და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს შეიცავს;
- დეპარტამენტმა ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, მიმწოდებელს გადაუხადა ავანსი. ამასთანავე, არაობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, გაზრდილია სამუშაოს შესრულების ვადა, რაც კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესების სასარგებლოდ, საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვისა და საჯარიმო სანქციის თავის არიდების რისკებზე მიუთითებს, რის შედეგად, სამუშაოები 2017 წელს ვერ დასრულდა;

- დეპარტამენტმა საპროექტო დოკუმენტაციის მიღების ეტაპზე არ განახორციელა ინსპექტირება, მიიღო ხარვეზით შედგენილი პროექტი, რის გამო, დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები. ამასთანავე, ხარვეზით შედგენილი პროექტებისათვის არ უზრუნველყო მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება;
- დეპარტამენტის მიერ დაქირავებული ტრანსპორტით გაწეულ მომსახურებაზე გამოყენებული ტექნიკის იდენტიფიცირება ვერ ხდება, ხოლო მიმწოდებელს ხელშეკრულებაში მითითებული ტრანსპორტით დეპარტამენტზე მომსახურება, არ განუხორციელებია, რაც წარმოშობს მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული მომსახურების ფაქტობრივად შეუსრულებლობის და ბიუჯეტიდან გადახდილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვის რისკს;
- დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება წიაღისეულის მოპოვება და ხარჯვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისათვის ქვიშა-ხრემის (ბალასტის) ფაქტობრივად მოპოვების ან/და ტრანსპორტირებაზე გაწეული საწვავის ფაქტობრივი ხარჯვის რეალობა რისკის შემცველია.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში, სამუშაოების ჩაბარების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად იქნეს გამოვლენილი ხარვეზები და არ დაუშვას შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დადასტურების გარეშე, სამუშაოს მიღება-ჩაბარება და თანხების ანაზღაურება.

რეკომენდაცია N2: სამინისტრომ შეისწავლოს ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზაზე სამუშაოს არასრულად დაგეგმვის და შესრულების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დროულად და სრულად გამოავლენს კანონშესაბამობებს და ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვას.

რეკომენდაცია N3: დეპარტამენტმა ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადების ცვლილება განახორციელოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების პირობებში, ობიექტური და ფორსმაჟორული გარემოებების ფაქტობრივი არსებობის გათვალისწინებით. არაობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მიმწოდებელს დააკისროს შესაბამისი სანქცია, რაც მინიმუმამდე დაიყვანს პროექტების განსაზღვრულ დროში შეუსრულებლობის ფაქტებს;

ამასთანავე, შეისწავლოს დასაბუთების გარეშე სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შეცვლის მოტივი, მიმწოდებლებზე საჯარიმო სანქციის დაურიცხაობის ყველა ფაქტი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N4: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გამოიკვილოს არათანაბარი კონკურენციის პირობებში არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთან ერთად, შეიმუშაოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რაც შემდგომში უზრუნველყოფს თანაბარი კონკურენციის პირობებში პრეტენდენტის გამარჯვებულად აღიარებას.

რეკომენდაცია N5: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომ თავიდან იქნება აცილებული გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში დაუსაბუთებელი საავანსო ანგარიშსწორება, რაც ხელს

შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვას, და რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

რეკომენდაცია N6: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს, ხარვეზით მიწოდებულ საპროექტო დოკუმენტაციაზე ინსპექტირების განუხორციელებლობის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად გამოვლინდეს ხარვეზით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და არ დაუშვას უხარისხოდ შედგენილი პროექტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება.

რეკომენდაცია N7: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გამოიკვიოს ტექნიკის დაქირავებასთან დაკავშირებით არსებული შეუსაბამობის მიზეზები, უზუსტობების არსებობის პირობებში განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. აგრეთვე უზრუნველყოს კანონშეუსაბამოდ გაწეული ხარჯების ბიუჯეტში დაბრუნება, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად გამოვლინდეს კანონშეუსაბამობის ფაქტები, დადგინდეს გაწეული მომსახურების რეალობა, შესაბამისი მტკიცებულების გარეშე არ დაუშვას მომსახურების მიღება და ანაზღაურება.

რეკომენდაცია N8: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გამოიკვიოს წიაღისეულის მოპოვების, გამოყენების და მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების კანონშეუსაბამობის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთან ერთად, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად გამოვლინდეს ხარვეზები და აღმოიფხვრას წიაღისეულის კანონშეუსაბამოდ მოპოვებისა ან/და მასთან დაკავშირებით საწვავის არადანიშნულებით ხარჯვის შესაძლო რისკი.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

დეპარტამენტში საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის 2016 -2017 წლების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2016-2017 წლებში საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის ფარგლებში დეპარტამენტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. აუდიტმა მოიცვა დეპარტამენტის 2016-2017 წლების ბიუჯეტის გადასახდელები, ჯამში – 85,093.3 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის N1 – 1/23 ბრძანება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა იმის შესახებ, საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესწავლა - ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- სხვა დაწესებულებებიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დეპარტამენტი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება. დეპარტამენტის მმართველობის სფეროში შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და სამელიორაციო სისტემები. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ მათი რეალიზაცია; გრძელვადიანი პროგრამების, პერსპექტიული და პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება და დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ მათი რეალიზაცია და სხვ. დეპარტამენტი მოიცავს ექვს სტრუქტურულ ერთეულს, დასაქმებულია 465 ფიზიკური პირი¹ და ბალანსზე ერიცხება 3,771 კმ სიგრძის საავტომობილო გზა.²

აუდიტის მიგნებები

სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დადასტურების გარეშე ანაზღაურებული თანხები კრიტერიუმი: საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება უნდა შედგეს და ანგარიშსწორება განხორციელდეს აკრედიტებული პირის³ მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რითაც დადასტურდება: შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულთან (მათ შორის, გამოყენებული მასალები⁴).

გარემოება: დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საავტომობილო გზების კეთილმოწყობის სამუშაოების მიღება-

¹ საშტატო ერთეულით – 49 პირი, შტატგარეშედ – 5 პირი და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვაზე – 411 პირი.

² მუნიციპალიტეტები: ქობულეთი – 817,54 კმ, ხელვაჩაური – 664,67 კმ, ქედა – 641,5 კმ, შუახევი – 928 კმ, ხულოს მუნიციპალიტეტი – 719,8 კმ.

³ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან ხვა აკრედიტებული პირი.

⁴ შპს „გზები“ – ხელშეკრულება N31, 04.02.2016, SPA 150035670; შპს „ფემინი კონტრაქშენ გრუპი“ – ხელშეკრულება N163, 19.05.2016.

ჩაბარების ეტაპზე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი აკრედიტებული პირის დასკვნით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ ინსპექტირების წინაშე სრულყოფილად არ იქნა დასმული სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული შეკითხვა ინსპექტირების სფეროსთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ ექსპერტს დაედასტურებინა შესრულებული სამუშაოების მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე, შესრულებული სამუშაოების მოცულობების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ სამუშაოების მოცულობებთან შესაბამისობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი, დასმულია მხოლოდ ერთი შეკითხვა – შესრულებული სამუშაოს აქტის – ფორმა N2-ის ინსპექტირების თაობაზე. ინსპექტირების ანგარიშების საფუძველზე გადახდილია შესრულებული სამუშაოების ღირებულება, თუმცა წარმოდგენილი ანგარიშებით არ დასტურდება სამუშაოს ხარისხი და შესრულებაში მითითებული ფარული სამუშაოების მოცულობა.⁵ კერძოდ, ანგარიშების მიხედვით, ექსპერტის მიერ აზომვები ჩატარდა მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე, ხოლო ის სამუშაოები, რომელიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას და რომლის ზუსტი მოცულობების დადგენა ინსპექტირების ჩატარების პერიოდისთვის ტექნიკურად შეუძლებელი იყო, ექსპერტმა გაითვალისწინა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტების მიხედვით. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტი მიუთითებს, რომ „სამუშაოები, როგორცაა, მაგალითად, ბეტონის მოცულობა, არამატურის სახეობა, რაოდენობა და სხვ., მათი ჩათვლა – დამკვეთის პრეროგატივაა“, თუმცა დეპარტამენტის მიერ რაიმე სახის დამატებითი აქტივობა არ არის განხორციელებული და გადახდილია შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების სრული ღირებულება.

ცხრილი 1. საავტომობილო გზების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხების შესახებ (ლარი)

მიმწოდებელი	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	ხელშეკრულების ღირებულება	გადახდილი თანხა	ექსპერტის მიერ არ არის დადასტურებული		
				ხარისხი	ფარული სამუშაოები	%
შპს „გზები“	N31, 04.02.2016	725,736	725,616	725,616	302,470	42
შპს „ზიმო-7“	N34, 05.02.2016	548,490	522,067	522,067	160,729	31
შპს „გზები“	N57, 19.02.2016	942,996	915,361	915,361	235,395	26
შპს „გზები“	N58, 19.02.2016	478,899	457,410	457,410	167,966	37
შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი“	N163, 19.05.2016	750,340	750,340	750,340	248,379	33
შპს „ტ.ტ.“	N319, 18.09.2017	1,032,418	1,032,405	1,032,405	357,040	35
ჯამი:		4,478,879	4,403,199	4,403,199	1,471,979	33

⁵ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი N5001550619. 13.03.2019; ექსპერტის ახსნა - განმარტება, 16.03.2019.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა N2) წარმოდგენის ეტაპზე, ფარული სამუშაოების აქტებით არ არის დადასტურებული 1,012,935 ლარის ღირებულების⁶ სამუშაოების ფაქტობრივად შესრულება, თუმცა მხარეებს შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები და გადახდილია აქტებში დაფიქსირებული სამუშაოების ღირებულება.

დასკვნა: დეპარტამენტის მიერ ფარული სამუშაოების აქტებით დადასტურებამდე მიმწოდებელზე გადახდილია 1,012,935 ლარი, არ არის შეფასებული 4,403,199 ლარის შესრულებული სამუშაოების ხარისხი, ხოლო 1,471,979 ლარის ღირებულების ფარულ სამუშაოებზე ექსპერტის მიერ არ არის დადგენილი სამუშაოების მოცულობები. აღნიშნული გარემოება მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ დროში სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების, სამუშაოების დასრულებამდე თანხის გადახდის და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N1: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში სამუშაოების ჩაბარების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად იქნეს გამოვლენილი ხარვეზები და არ დაუშვას შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დადასტურების გარეშე სამუშაოს მიღება-ჩაბარება და თანხების ანაზღაურება.

გზის ერთსა და იმავე მონაკვეთზე გაწეული ხარჯები და ბიუჯეტზე მიყენებული ზიანი კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების⁷ განხორციელების მიზანია მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და მათთვის სარგებლის მოტანა. მოქმედი რეგულაციების შესაბამისად,⁸ მიზნის მისაღწევად შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა, სახელმწიფო შესყიდვა უნდა განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპით, სათანადო

⁶ შპს „გზები“, ხელშეკრულება N57, 19.02.2016 – 133,363 ლარი; შპს „გზები“, ხელშეკრულება N58, 19.02.2016 – 133,492 ლარი; შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი“, ხელშეკრულება N163, 19.05.2016 – 111,155 ლარი; შპს „ტ.ტ.“, ხელშეკრულება N319, 18.09.2017 – 634,924 ლარი.

⁷ დეპარტამენტის პროგრამები.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

დაგეგმვის საფუძველზე, რაც შემდგომში განაპირობებს პროექტის წარმატებით დასრულებას, შედეგის მიღებას, გაზომვასა და მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას.

გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის,⁹ ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე, სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე ერთი პრეტენდენტი¹⁰ გამოვლენილია გამარჯვებულად, რომლის მიერ შედგენილი პროექტის საფუძველზე, დეპარტამენტმა 2015 წლის 24 დეკემბერს გამოაცხადა გზის მოწყობის სამუშაოების ელექტრონული ტენდერი. შესყიდვაში მონაწილეობდა ხუთი პრეტენდენტი. უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი, შპს „სამკუთხედი“ გამოვლინდა გამარჯვებულად და მასთან 2016 წლის 17 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება.¹¹

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების ეტაპზე, მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დადასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა¹² და ხარისხი. წარმოდგენილი დასკვნით¹³ კი, ბეტონის მოცულობის, არმატურის სახეობის და რაოდენობის, სხვა ფარული სამუშაოების მოცულობების რაოდენობრივი სიზუსტე და შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ არის დადასტურებული, თუმცა მიმწოდებელზე გადახდილია 631,360 ლარი.

დეპარტამენტმა, საავტომობილო გზის იმავე მონაკვეთზე, გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, 2018 წელს კვლავ განახორციელა გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.¹⁴ წარმოდგენილი დასკვნა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან გზის მდგომარეობის შესწავლამდე და გეოლოგიური დასკვნის წარმოდგენამდე¹⁵ ორი თვით ადრე, 2017 წლის 28 დეკემბერს ჯერ განხორციელებულია გზის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვა,¹⁶ სადაც მონაწილეობდა იგივე პრეტენდენტი – შპს „გზაპროექტი“ და წარმოდგენილია გზის რეკონსტრუქციის 1,962,990 ლარის ღირებულების სამუშაოების

⁹ SPA 150035735, კმ0+000-კმ4+800 მონაკვეთი.

¹⁰ შპს „გზაპროექტი“, ხელშეკრულება N174, 01.07.2015. პროექტირებისათვის გადახდილია 4,624 ლარი. 2018 წელსაც ამავე საზოგადოებამ მოაწოდა იმავე გზის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

¹¹ ხელშეკრულების ღირებულება – 634,886 ლარი.

¹² შესრულებული სამუშაოების მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე და შესრულებული სამუშაოების მოცულობების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ სამუშაოების მოცულობებთან შესაბამისობა.

¹³ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა N007031116, 29.11.2016.

¹⁴ SPA 150035735, კმ0+000-კმ4+800 მონაკვეთი, ღირებულება – 1,962,990 ლარი. დასრულების ვადა 27.10.2018, ფაქტობრივად დასრულდა 2019 წლის თებერვალში.

¹⁵ გეოლოგიური დასკვნა წარმოდგენილია 2018 წლის მარტში.

¹⁶ ხელშეკრულება N17, 22.01.2018 წ. NAT 170015449. შესყიდვაში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი – შპს „გზაპროექტი“.

საპროექტო დოკუმენტაცია,¹⁷ ხოლო შემდგომში წარმოდგენილია გეოლოგიური დასკვნა, საიდანაც ირკვევა, რომ გზის გარკვეულ მონაკვეთებზე საჭიროა ფერდსამაგრი სამუშაოების და სანიაღვრე არხების მოწყობა.

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულია „ალამბარი-ზენითი“ საავტომობილო გზის¹⁸ რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი.¹⁹ შესყიდვაში მონაწილეობდა ოთხი პრეტენდენტი, სამი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სამკუთხედი“²⁰ და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება.²¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით, სამუშაოები დასრულებულია 2019 წლის 19 თებერვალს და გადახდილია მიმწოდებელზე სრული სახელშეკრულებო ღირებულება 1,938,795 ლარის ოდენობით²².

იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წელსაც გზის იმავე მონაკვეთის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „გზაპროექტის“ მიერ, ხოლო გზის მოწყობის სამუშაოები შესრულებულია შპს „სამკუთხედის“ მიერ, წარმოშობს წინა პროექტის ხარვეზების დაფარვის მაღალ რისკს.

აუდიტის ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული გზის ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სამუშაოები ხარვეზით სრულდებოდა. კერძოდ, დაზიანებული იყო გზის სავალი ნაწილი და გაბიონები. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაკვეთით, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიერ განხორციელდა ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება.

წარმოდგენილი ინსპექტირების ანგარიშით²³ ირკვევა, რომ შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოები და მოცულობები არ ემთხვევა ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებს და მოცულობებს, სამუშაოები შესრულებულია სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების დარღვევით, რიგი სამუშაოები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მინიმალური ზღვრულ კოეფიციენტებს. ჯამში ინსპექტირების შედეგად შესრულებულ სამუშაოებს მიეცა უარყოფითი (საექსპერტო) შეფასება, კერძოდ:

¹⁷ პროექტირებისათვის გადახდილია 37,930 ლარი.

¹⁸ SPA 150035735, კმ0+000-კმ4+800 მონაკვეთი.

¹⁹ NAT 180004384, 16.03.2018წ.

²⁰ შპს „სამკუთხედი“ 2016 წელსაც განხორციელა გზის იმავე მონაკვეთის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა.

²¹ N237, 29.06.2018 წ.

²² შპს „ვირაჟის“ მიერ აზომვები განხორციელებულია მათ მიერ მიჩნეულ მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე, ჯამში - 40.86%-ზე, რის გამოც არ განხორციელდა მასზე დაყრდნობა.

²³ ტექნიკური მდგომარეობის შესრულების, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო და სარესტავრაციო სამუშაოების.

- ანაკრები რკინაბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოებზე არ არის მოწყობილი ორფენიანი ჰიდროიზოლაცია ბიტუმით;
- ანაკრები რკინაბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოებზე ფიქსირდება დანაკლისი;
- ლითონის ცხაურების მოწყობაზე ფიქსირდება დანაკლისი;
- ანაკრები რკინაბეტონის კიუვეტების მოწყობის მიწის სამუშაოების უმეტესი ნაწილი ამ პროექტის ფარგლებში არ არის შესრულებული;
- ლითონის მილის მოწყობა, ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული $d=1.0$ მ მილისა, გამოყენებულია $d=0,92$ მ მილი;
- $d=0,5$ მ დიამეტრის ლითონის მილებზე არ არის მოწყობილი ორფენიანი ჰიდროიზოლაცია;
- საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული ბეტონის ქვედა საყრდენი კედელი²⁴ არ არის მოწყობილი;
- ზედა საყრდენი კედლის მოწყობაზე²⁵ ფიქსირდება დანაკლისი ;
- გაბიონის მოწყობის სამუშაოებზე ფიქსირდება დანაკლისი;
- გაბიონის მოწყობის სამუშაოებზე გრუნტის უკუჩაყრა არ არის ამოყვანილი საპროექტო ნიშნულამდე, შესაბამისად, ფიქსირდება ხრეშოვანი მასალის დანაკლისი;
- საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული 20-30 სმ ფრაქციის ფლეთილი ქვის ნაცვლად, გაბიონი მოწყობილია 8-40 სმ ფრაქციის რიყის ქვით;
- ასფალტბეტონის საფარის ქვედა ფენა (მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ნარევი) და საფარის ზედა ფენა (წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ნარევი) ვერ აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო წესების, ნორმებისა და სტანდარტების ტკეპნისა და ფორიანობის მინიმალურ ზღვრულ კოეფიციენტებს;
- მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარის სამ ადგილზე ამოჭრილი კერნი ადგილზევე დაიშალა;
- მისაყრელი გვერდულები, ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული 709 კუბ.მ-ისა, მოწყობილია 138 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი მასალით;
- ასფალტბეტონის ფრაქციულ ღორღსა და ასფალტის ქვედა ფენას შორის, ასევე ასფალტის ზედა და ქვედა ფენებს შორის ბიტუმის ემულსია არ ფიქსირდება;

²⁴ PK 21+10 – PK 21+28.

²⁵ PK 21+10 – PK 21+28.

- ასფალტბეტონის საფარის ქვეშ არ ფიქსირდება პროექტით გათვალისწინებული 0-40 მმ ფრაქციის ღორღი;
- საგზაო სამოსის საფარის მიერთებებსა და ეზოში მისასვლელების მოწყობაზე ფიქსირდება დანაკლისი;
- ზღუდარებზე სასიგნალო შუქამრეკლები, პროექტით გათვალისწინებული ყოველი ოთხი მეტრის ნაცვლად, მოწყობილია 12 მეტრში, ამასთანავე, ფიქსირდება დანაკლისი;
- გზის სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა ვერ აკმაყოფილებს საპროექტო მოთხოვნებს, არ შეიცავს გაუმჯობესებულ ღამის ხილვადობის შუქდამაბნელებელ მინის ბურთულაკებს;
- პროექტის შესაბამისად არ არის მოწყობილი ლითონის ზღუდარების საწყისი და ბოლო მონაკვეთები.

ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან მიმართებაში, სამშენებლო სამუშაოების დანაკლისმა შეადგინა 221,509 ლარი, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოთხოვნების შეუსაბამოდ წარმოებულმა სამშენებლო სამუშაოების ღირებულებამ, რაც საერთო შესრულებული სამუშაოების დაანგარიშებაში ვერ იქნება გათვალისწინებული – 666,722 ლარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიერ საერთოდ ვერ იქნა გადამოწმებული 353,324 ლარის ღირებულების ფარული სამუშაოები. გამომდინარე იქედან, რომ აუდიტის პერიოდში ფარული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიწის და ხე-ბუჩქნარის დამუშავება, ტრანსპორტირება, დასაწყობება, განთავსება, ფიზიკური დათვალიერება) ვერ იქნა წარმოდგენილი, შესაძლებელია შეუსრულებელი სამუშაოს ფაქტობრივი მოცულობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

დასკვნა: ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის დეპარტამენტის მიერ 2018 წელს გადახდილია 1,938,795 ლარი, თუმცა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობა და დანაკლისი, ჯამში შეადგენს 888,231 ლარს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტის მიერ 2018 წელს ვერ აიზომა 353,324 ლარის ღირებულების სამუშაოები და 2016 წელს ხარისხის შესწავლისა და დადასტურების გარეშე გადახდილია 631,360 ლარი, მაღალია რისკი იმისა, რომ სამუშაოები აქაც არასრულად იყოს განხორციელებული და შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობა გაცილებით მეტი იყოს, რაც საბიუჯეტო სახრების არამართლზომიერი ხარჯვის რისკებს წარმოშობს. ამასთანავე უხარისხოდ

შესრულებული სამუშაოები ფარავს ბიუჯეტიდან ჯამში გახარჯული 2,570,155 ლარით მისაღებ სიკეთეს.

რეკომენდაცია N2: სამინისტრომ შეისწავლოს ალამბარი-ზენითი საავტომობილო გზაზე სამუშაოების არასრულად დაგეგმვის და შესრულების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დროულად და სრულად გამოავლენს კანონშეუსაბამობებს და ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვას.

სამუშაოს შესრულების ვადის დაუსაბუთებელი ცვლილება

კრიტიკიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მიზანია²⁶ ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. შესყიდვა უნდა განხორცილდეს წინასწარ განსაზღვრული წლიური გეგმის შესაბამისად, რომლის შემუშავების დროს უნდა განისაზღვროს შესყიდვის ობიექტი (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) და ხელშეკრულების შესრულების სავარაუდო ვადები. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ყოველი ეტაპის შესრულების ვადას გადააცილებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო.²⁷

გარემოება: 2016 - 2017 წლებში დეპარტამენტი, მხარეებთან შეთანხმებით, დასაბუთების გარეშე, სისტემატურად არაობიექტური მიზეზებით, ზრდიდა ხელშეკრულებების მოქმედებისა და სამუშაოს დასრულების ვადებს. შესაბამისად, არ ახორციელებდა მიმწოდებლებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციის დაკისრებას, რომელმაც ჯამში 187,958 ლარი შეადგინა. კერძოდ:

- ქობულთის მუნიციპალიტეტში, გზის სამუშაოებთან დაკავშირებული ხელშეკრულების ფარგლებში, ²⁸ სხვადასხვა დროს, მხარეებს შორის გაფორმებულია ხუთი შეთანხმება, რომელთა საფუძველზეც დასაბუთების გარეშე შეცვლილია სამუშაოს შესრულების ვადები. წინააღმდეგ შემთხვევაში,

²⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

²⁷ ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი ეტაპის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.5% -ის და 0,1% -ის ოდენობით.

²⁸ შპს „სამკუთხედი“, ხელშეკრულება N118, 31.03.2016 – ღირებულება 800,000 ლარი; ჩაქვი, ზედა აჭყვის მიმართულება – კმ 0+000 - კმ2+150, შუაღელე – ქვედა აჭყვის მიმართულება – კმ0+000 - კმ1+250 მონაკვეთი.

მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,5%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც შეადგენს დაახლოებით, 156,703 ლარს;²⁹

- შუახევის მუნიციპალიტეტში, ხიჭაური-ნაღვარევის გზის სამუშაოებისათვის მიმწოდებელს³⁰ პირველ ეტაპზე უნდა შეესრულებინა არანაკლებ 15%-ის (ანუ 154,862 ლარი) მოცულობის სამუშაოები. წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტის გათვალისწინებით, შესრულებულია 109,352 ლარის³¹ ღირებულების სამუშაოები. მეორე ეტაპზე უნდა შეესრულებინა არანაკლებ 35%-ის, ანუ 361,346 ლარის სამუშაოები, წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტის გათვალისწინებით, შესრულებულია 129,094 ლარის³² ღირებულების სამუშაოები. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ნაცვლად იმისა, რომ დეპარტამენტს მიმწოდებლისათვის დაეკისრებინა 12,234 ლარის პირგასამტეხლო, მხარეთა შეთანხმებით შეიცვალა სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, კირნათი-ჩხუტუნეთის³³ გზის სამუშაოები მიმწოდებელს უნდა დაესრულებინა 2016 წლის 7 სექტემბრამდე.³⁴ 2016 წლის 30 აგვისტოს, მისივე მოთხოვნით დამატებულია 21,137 ლარის ღირებულების გაბიონის მოწყობის სამუშაოები. დამატებითი სამუშაოების წარმოშობამდე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დასრულებამდე, მიმწოდებელს შეუსრულებელი ჰქონდა მთლიანი სამუშაოს 36,4%, ანუ 264,366 ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელიც ფაქტობრივად დასრულებულია 19 დღის დაგვიანებით, თუმცა დეპარტამენტს სანქცია არ დაუკისრებია, რაც, მინიმუმ, 19,021 ლარს შეადგენს.³⁵

დასკვნა: დეპარტამენტი მიმწოდებლისათვის საჯარიმო სანქციის თავის არიდების მიზნით, ცალკეულ შემთხვევაში დასაბუთების გარეშე ზრდიდა ხელშეკრულების

²⁹ ეტაპების მიხედვით ვადაგადაცილებულ დღეთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 340 დღეს, საურავი დარიცხულია თითოეული ეტაპის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულებაზე 0,5%, რაც ჯამში შეადგენს 156,703 ლარს.

³⁰ კმ 5+100 - კმ 7+800 მონაკვეთი, შპს „ტ.ტ.“ ხელშეკრულება N319, 18.09.2017.

³¹ 16.11.2017, მიღება-ჩაბარების აქტით - 154,004,66 ლარი, ფარული სამუშაოს აქტებით შემდეგ პერიოდში შესრულებული 44,651 ლარის გათვალისწინებით, სხვაობა შეადგენს: 154,004-44,651=109,353 ლარს.

³² ეტაპების მიხედვით ვადაგადაცილებულ დღეთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 51 დღეს, საურავი დარიცხულია თითოეული ეტაპის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულებაზე 0,1%, რაც ჯამში შეადგენს 12,234 ლარს.

³³ კმ11+300 - კმ13+300 მონაკვეთი. შპს „გზები“. ხელშეკრულება N31, 04.02.2016, SPA 150035670, ხელშეკრულების ღირებულება - 725,736 ლარი.

³⁴ შეთანხმება N31/1, 29.02.2016; შეთანხმება N31/2, 01.09.2016.

³⁵ ეტაპების მიხედვით ვადაგადაცილებული დღეების ჯამური რაოდენობა შეადგენს 19 დღეს, საურავი დარიცხულია თითოეული ეტაპის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულებაზე 0,5%, რაც ჯამში შეადგენს 12,234 ლარს.

მოქმედების და სამუშაოს შესრულების ვადებს, რითაც ბიუჯეტმა დაკარგა, დაახლოებით, 187,958 ლარის შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, ხოლო მოსახლეობამ დროულად ვერ მიიღო დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

რეკომენდაცია N3: დეპარტამენტმა ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადების ცვლილება განახორციელოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების პირობებში, ობიექტური და ფორსმაჟორული გარემოებების ფაქტობრივი არსებობის გათვალისწინებით. არაობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მიმწოდებელზე განახორციელოს შესაბამისი სანქციის დაკისრება, რაც მინიმუმადე დაიყვანს პროექტების განსაზღვრულ დროში შეუსრულებლობის ფაქტებს.

ამასთანავე, შეისწავლოს დასაბუთების გარეშე სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შეცვლის მოტივი, მიმწოდებლებზე საჯარიმო სანქციის დაურიცხაობის ყველა ფაქტი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

არათანაბარი კონკურენციის პირობებში განხორციელებული შესყიდვები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ³⁶ სახელმწიფო შესყიდვის ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.

გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო წინადადებით,³⁷ მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტს, 2014 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში, შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებულის მსგავსი სამუშაოები, საერთო ღირებულებით – 1,500,000.0 ლარი, მათ შორის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში – არანაკლებ 500,000.0 ლარის ღირებულებისა.

³⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

³⁷ NAT 160004889, სავარაუდო ღირებულება – 1,173,960.0 ლარი. კმ1+100 - კმ4+000 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა გზაზე: ცეცხლალური - ჯიხანჯური.

შესყიდვაში მონაწილეობდა ხუთი პრეტენდენტი.³⁸ სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, დისკვალიფიცირებულია ოთხი პრეტენდენტი. გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „სამკუთხედი“, რომლის მიერ შეთავაზებული იყო ყველაზე მაღალი ფასი – 1,098,888.0 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა:

- შპს „ერ ტე დე“. წარმოდგენილი ფასი შეადგენს 939,169 ლარს, თუმცა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, დისკვალიფიცირებულია;
- ინდ. მეწარმე დავით სიჭინავა. წარმოდგენილი ფასი შეადგენს 971,999 ლარს, თუმცა დაზუსტების მოთხოვნის შემდეგ, სამუშაოს გეგმა-გრაფიკის წარმოდგენლობის გამო, დისკვალიფიცირებულია;
- შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი“. წარმოდგენილი ფასი შეადგენს 1,041,239 ლარს. დაზუსტების მოთხოვნის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის გამო, დისკვალიფიცირებულია;
- შპს „გზამშენი“. წარმოდგენილი ფასი შეადგენს 1,069,000 ლარს. პრეტენდენტს სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ, მაგრამ არ არის წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარება და სხვ.). სატენდერო კომისიამ მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ისე, რომ არ მიუმართავს მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით;
- სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად აღიარებულია მეხუთე პრეტენდენტი – შპს „სამკუთხედი“;³⁹ რომლის მიერ დაზუსტების შემდეგაც წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო წინადადების პირობებს. კერძოდ, გამოცდილების შესახებ ინფორმაცია/მტკიცებულებები ნაცვლად 1,500,000.0 ლარისა, წარმოდგენილია მხოლოდ 1,085.791 ლარის ღირებულების შესრულებულ სამუშაოებზე.

³⁸ ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ფასები: შპს „ერ ტე დე“ – 939,169.0 ლარი; ი/მ დავით სიჭინავა – 971,999.0 ლარი; შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი“ – 1,041,239.0 ლარი; შპს „გზამშენი -2“ – 1,069,000.0 ლარი; შპს „სამკუთხედი“ – 1,098,888.0 ლარი.

³⁹ ხელშეკრულება N124, 11.04.2017 წელი, ღირებულება – 1,098,877.8 ლარი.

დასკვნა: დეპარტამენტის მიერ არათანაბარი კონკურენციის პირობებში, არაპროპორციული, დისკრიმინაციული მიდგომით ხდება პრეტენდენტების შერჩევა. შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდა მაღალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი. აღნიშნული გარემოება სახელმწიფო შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტზე მორგების და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს შეიცავს.

რეკომენდაცია N4: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გამოიკვილოს არათანაბარი კონკურენციის პირობებში, არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რაც შემდგომში უზრუნველყოფს თანაბარი კონკურენციის პირობებში პრეტენდენტის გამარჯვებულად აღიარებას.

ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ მიმწოდებელზე გადახდილი ავანსი

კრიტიკიუმი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გზის: ბარცხანა-ორთაბათუმის ⁴⁰ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების მიმწოდებელია შპს „გზები“. ხელშეკრულების პირობებით,⁴¹ სამუშაოები უნდა შეესრულებინა ექვს ეტაპად, 2017 წლის 20 დეკემბრამდე. მიმწოდებელი უფლებამოსილი იყო შემსყიდველზე წარედგინა წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- დასაბუთებული უნდა ყოფილიყო ავანსის სახით მიღებული თანხის გამოყენების მიზნობრიობა;
- უნდა წარმოედგინა ინფორმაცია, რომ არ იყო რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში და მის მიმართ არ იყო რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა.

გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, 2017 წლის 20 დეკემბრამდე, მიმწოდებელს შესრულებული ⁴² აქვს – 1,635,659 ლარის, ხოლო შეუსრულებელი დარჩა 574,336 ლარის ღირებულების სამუშაოები. ნაცვლად იმისა, რომ დეპარტამენტს დაეკისრებინა საჯარიმო სანქცია, ⁴³ შესრულების ვადის გასვლის შემდეგ, 2017 წლის 25 დეკემბერს, მხარეებს შორის გაფორმებული

⁴⁰NAT 170004677, ს/გზა: ბარცხანა-ორთაბათუმი-ზედა ყოროლისთავი კმ0+00 - კმ4+450. ხელშეკრულება N214, 23.06.2017. სახელშეკრულებო ღირებულება – 2,209,995.2 ლარი.

⁴¹ ღირებულება – 2,209,995.2 ლარი, უნდა შესრულდეს ექვს ეტაპად, 2017 წლის 20 დეკემბრამდე.

⁴² მთლიანი სამუშაოს ღირებულება – 2,209,829 ლარი.

⁴³ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეტაპის შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.1%.

შეთანხმებით, ხელშეკრულებიდან ამოღებულია შეუსრულებელი სამუშაოები,⁴⁴ დაემატა ახალი სამუშაოები, ⁴⁵ რომელთა დასრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 25 თებერვალი, ⁴⁶ ამასთანავე, დეპარტამენტმა აიღო ვალდებულება 550,829 ლარის ავანსად გადახდაზე. წარმოდგენილი შეთანხმება დაუსაბუთებელია და ვერ ჩაითვლება ვადის გაგრძელებისა და ავანსის გადახდის ობიექტურ წინაპირობად შემდეგ გარემოებათა გამო:

- ვადის გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია, რომ ასფალტბეტონის სამუშაოების შეფერხება გამოიწვია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღნიშნული გზის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებმა, თუმცა დეპარტამენტის წერილით ⁴⁷ ირკვევა, რომ აღნიშნული სამუშაოების დასრულებას სჭირდებოდა მხოლოდ 5-7 დღე, ხოლო მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ⁴⁸ 2017 წლის 19 დეკემბერს სამუშაოები დასრულებული იყო;
- მიმწოდებელზე, ავანსი – 550,829 ლარი, გადახდილია ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ. კერძოდ, გადასახდელი თანხის გამოყენების მიზნობრიობაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია, ასევე ავანსად გაცემის პერიოდისათვის მიმწოდებლის მთელ ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა.

დასკვნა: დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, მიმწოდებელზე გადახდილია ავანსი 550,829 ლარი, ⁴⁹ ამასთანავე, არაობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, გაზრდილია სამუშაოს შესრულების ვადა, რაც კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესების სასარგებლოდ, საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვისა და საჯარიმო სანქციის თავის არიდების რისკებზე მიუთითებს, რის შედეგადაც, სამუშაოები 2017 წელს ვერ იქნა დასრულებული.

რეკომენდაცია N5: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომ თავიდან იქნეს აცილებული გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში დაუსაბუთებელი საავანსო ანგარიშსწორება, რაც ხელს

⁴⁴ ფერდამჭერი კედლების და რკინაბეტონის არხის მოწყობა, კიუვეტების მოწყობა, ლითონის ცხურების მოწყობა, წყალგამტარი მილის მოწყობა.

⁴⁵ სამუშაოები, რომელიც გადავიდა მომდევნო წელს, შეთანხმებით მიჩნეულია გარდამავალ სამუშაოებად.

⁴⁶ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი წარმოდგენილია 19.02.2018.

⁴⁷ წერილი N01/10-234, 15.12.2017.

⁴⁸ წერილი N25/20165, 19.12.2017.

⁴⁹ დეპარტამენტის მიერ ავანსის გაუცემლობის შემთხვევაში, თავისუფალ ნაშთზე ბიუჯეტი პროცენტის სახით დამატებით მიიღებდა, დაახლოებით, 7,048 ლარის შემოსავალს.

შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვას, და რომლებიც უზრუნველყოფს სამუშაოების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები

კრიტიკიუმი: საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით, ⁵⁰ მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებასა და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეული – დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილება.

გარემოება: დეპარტამენტის მიერ 2016-2017 წლებში საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები შედგენილია შპს „პროექტმშენკომპანი“ და შპს „გზაპროექტის“ მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ საპროექტო დოკუმენტაცია ხარვეზებითაა შედგენილი. კერძოდ, სრულყოფილად არ არის შესწავლილი მიწის ვაკისის მდგომარეობა, გრუნტის შემადგენლობა, მომხმარებლების მოთხოვნა და სხვა გარემოებები. აღნიშნულის გამო, მიმწოდებლის⁵¹ მოთხოვნის საფუძველზე, 28 შემთხვევაში შეცვლილია პროექტის მონაცემები და დამატებულია ჯამში 594,816 ლარის ღირებულების სხვა ახალი სამუშაოები. ამასთანავე, გაზრდილია სამუშაოს შესრულების დროც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარვეზით შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის პირობებში, დეპარტამენტს არ განუხორციელებია პროექტის შემდგენ პირებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის, ჯამში – 6,178 ლარის⁵² დაკისრება.

დასკვნა: დეპარტამენტმა საპროექტო დოკუმენტაციის მიღების ეტაპზე არ განახორციელა ინსპექტირება, მიიღო 594,816 ლარის ღირებულების ხარვეზით შედგენილი პროექტი, რის შედეგადაც დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები. ამასთან ერთად, ხარვეზით

⁵⁰ შპს „პროექტმშენკომპანი“ ხელშეკრულება N272, 05.11.2015, შპს „გზაპროექტი“, ხელშეკრულებები: N174, 01.07.2015; N41, 09.02.2016; N187, 09.06.2016; N275, 16.08.2016; N12, 12.01.2017; N127, 19.04.2017; N195, 12.06.2017.

⁵¹ სამუშაოს შემსრულებელი კომპანიები შპს „ნიკა“, შპს „ბონდი“, შპს „ზომო“ და სხვ.

⁵² ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%, ანუ 308,947*2%=6,178 ლარი.

შედგენილი პროექტებისათვის არ უზრუნველყო მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება.

რეკომენდაცია N6: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ დაადგინოს, ხარვეზით მიწოდებულ საპროექტო დოკუმენტაციაზე ინსპექტირების განუხორციელებლობის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად გამოვლინდეს ხარვეზით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და არ დაუშვას უხარისხოდ წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება.

ტექნიკის დაქირავების ხარჯი

კრიტიკიუმი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში⁵³ დეპარტამენტისათვის საჭირო სამუშაოების შესასრულებლად გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად,⁵⁴ მიმწოდებლები მათ საკუთრებაში ან/და იჯარით სარგებლობაში⁵⁵ არსებული ტექნიკით⁵⁶ უზრუნველყოფენ მომსახურებას, რომლის მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

გარემოება: დეპარტამენტისათვის გაწეულ მომსახურებაზე, მიმწოდებლს წარმოდგენილი აქვს დაქირავებული ტექნიკით⁵⁷ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები და გადახდილია 378,328 ლარი. წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის იდენტიფიცირებული გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის მარკა, მოდელი და სახელმწიფო ნომერი. გაურკვეველია ტექნიკის მფლობელი და ის ფიზიკური პირი, ვინც უშუალოდ განახორციელა მომსახურება. კერძოდ, ტექნიკის⁵⁸ გადატანისას არ ფიქსირდება გადაზიდვის მიზანი, დანიშნულება, გადატანილი ტექნიკის მესაკუთრე, სახელმწიფო ნომერი და დანიშნულების ადგილზე აღნიშნული ტექნიკით გაწეული

⁵³ ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო.

⁵⁴ შპს „თურინჯი“, ხელშეკრულება N13, 20.01.2016 – 150,000 ლარი. შპს „გიგა-2015“, ხელშეკრულება N324, 02.12.2016 – 23,600 ლარი. ხელშეკრულება N11, 10.01.2017 – 94,600 ლარი. ხელშეკრულება N138, 01.05.2017 – 49,999 ლარი. ხელშეკრულება N363, 06.11.2017 – 101, 000 ლარი.

⁵⁵ შპს „ბსკ“, შპს „ბიზონი“, შპს MIG, შპს „გზები“, შპს „ზიმო-7“, ფიზიკური პირი გიორგი ბაგრატიონი და სხვ.

⁵⁶ ავტომობილი თვითმცლელი, ექსკავატორი ბორბლებიანი. ექსკავატორი ჩაქუჩით, მუხლუხა ექსკავატორი, ე.წ. „ამწე კრანი“ და უნაგირა საწევარა.

⁵⁷ ბორბლებიანი ექსკავატორი, უნაგირა საწევარა, მუხლუხა ექსკავატორი, თვითმცლელი ავტომანქანა და ე.წ. „ამწე კრანი“.

⁵⁸ უნაგირა-საწევარას მეშვეობით.

მოსახურება.⁵⁹ თვითმცლელი ავტომობილებით გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით არ არის მითითებული სატრანსპორტო საშუალების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია, რომ განხორციელდა გზის მოხრეშვა, მაგრამ გაურკვეველია, როდის და გზის რომელ მონაკვეთზე; აგრეთვე ვერ დგინდება ვის მიერ და სად განხორციელდა ხრეშის, როგორც ბუნებრივი რესურსის, მოპოვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის თარიღი არ არის შესაბამისობაში შესრულებული სამუშაოს ვადებთან.⁶⁰

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებით, დეპარტამენტის მიმწოდებლებზე მათ მეიჯარეებს⁶¹ 2016-2017 წლებში მომსახურება არ განუხორციელებიათ.

დასკვნა: დეპარტამენტის მიერ დაქირავებული ტრანსპორტით გაწეულ მომსახურებაზე გამოყენებული ტექნიკის იდენტიფიცირება ვერ ხდება, ხოლო მიმწოდებელს ხელშეკრულებაში მითითებული ტრანსპორტით, დეპარტამენტისთვის მომსახურება არ განუხორციელებია, რაც წარმოშობს მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული მომსახურების შეუსრულებლობის და ბიუჯეტიდან გადახდილი 378,328 ლარის არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

რეკომენდაცია N7: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გამოიკვილოს ტექნიკის დაქირავებასთან დაკავშირებით არსებული შეუსაბამობის მიზეზები და უზუსტობების არსებობის შემთხვევაში, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, უზრუნველყოს კანონშესაბამოდ გაწეული ხარჯების ბიუჯეტში დაბრუნება, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად გამოვლინდეს კანონშესაბამობის ფაქტები, დადგინდეს გაწეული მომსახურების რეალობა, შესაბამისი მტკიცებულების გარეშე არ დაუშვას მომსახურების მიღება და ანაზღაურება.

⁵⁹ მაგალითად, აქტით (14.12.2016) დაფიქსირებულია, რომ: 2016 წლის 9 დეკემბერს ერთხელ და 11 დეკემბერს – ორჯერ, ბათუმიდან შუახევის მუნიციპალიტეტში „ბელარუსის“ მარკის ტრანსპორტის გადაყვანა, ხოლო 11 და 12 დეკემბერს – ექსკავატორის მომსახურება, თუმცა სად განხორციელდა მომსახურება, გაურკვეველია.

⁶⁰ 2016 წლის 4 დეკემბერს შედგენილი აქტით დადასტურებულია 2016 წლის 3, 4, 5 და 6 დეკემბერს გაწეული მოსახურება და სხვ.

⁶¹ შპს BSK – წერილი N28/12-18, 18.12.2018; შპს „ზიმო-7“ – წერილი N01-01/331, 20.12.2018; შპს „გზები“ – წერილი N192, 21.12.2018; შპს ATS GEO – წერილი N2330, 21.12.2018.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში არსებული ხარვეზები

კრიტიკრიუმში: საქართველოს მთავრობის განკარგულებით,⁶² სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის პროგრამის ფარგლებში, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, დეპარტამენტზე გათვალისწინებულია მხოლოდ 7,050 კუბ.მ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვება.

გარემოება: საავტომობილო გზებზე სამუშაოების განხორციელებისათვის, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებული ქვიშა-ხრემის მოცულობიდან, 5,575 კუბ.მ. მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტებით⁶³ ირკვევა, რომ წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელებულია 29 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით, საიდანაც ექვსი ერთეული – დეპარტამენტის საკუთრებაშია, ხოლო 23 ერთეულზე დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა თხოვნის ან/და დაქირავებით სარგებლობის, დოკუმენტური მტკიცებულება და არც მომსახურების ღირებულებაა გადახდილი.

დეპარტამენტის მიერ ბალანსზე რიცხული ექვსი ერთეული სატრანსპორტო საშუალებით, ქვიშა-ხრემის გადაზიდვისათვის გამოწერილი ავტომობილის საგზაო ფურცლებში ასახული მარშრუტი და შესრულებული სამუშაოს მოცულობა ხშირ შემთხვევებში არ შეესაბამება სასაქონლო ზედნადებში ასახულ მონაცემებს (დრო, ადგილი და მოცულობა).⁶⁴

არასაბალანსო 23 ერთეული სატრანსპორტო საშუალებით, გადაზიდულია ჯამში 1,654 კუბ.მ ქვიშა-ხრეში. სასაქონლო ზედნადებებში, როგორც მყიდველად, ისე გამყიდველად მითითებულია დეპარტამენტი, ოპერაციის შინაარსად – შიდა გადაზიდვა, თუმცა ტვირთის გამცემი და მიმღები პასუხისმგებელი პირი, საქონლის დასაწყობება, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში შეტანა, გზებზე გამოყენება და აღნიშნული წიაღისეულით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

დეპარტამენტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთ მუნიციპალიტეტში, გზის მოვლა-შენახვისათვის 2016 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე ბალანსზე რიცხული სატვირთო ავტომობილის საგზაო ფურცლის მიხედვით, ნაჩვენები აქვს ჯამში 68,640 კუბ.მ ქვიშა-ხრემის (ბალასტის) გადაზიდვა, რისთვისაც ჩამოწერილია 71,420 ლიტრი საწვავი, თუმცა საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პერიოდში მას ინერტული

⁶² განკარგულება N2341, 29.10.2015.

⁶³ მოპოვების დღიდან დღემდე ფინანსური და რაოდენობრივი ნაშთის სახით არ ერიცხება.

⁶⁴ მაგალითად, ავტომანქანა PKP 436, სასაქონლო ზედნადებები: N0221753212, N02221765136, N0223209877, N0223214149, გადატანილია 28 კუბ.მ. აღნიშნულის გადატანა საგზურის ფურცლით არ დასტურდება და ა.შ.

მასალის ფაქტობრივი ნაშთი არ ერიცხებოდა და ასევე არ გააჩნდა წიაღისეულის მოპოვების შესაბამისი დოკუმენტები.

დასკვნა: საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი წიაღისეულის მოცულობიდან 1,654 კუბ.მ მოცულობის ქვიშა-ხრემის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარჯვა – წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. ამასთან ერთად, 2016 წლის პირველი თებერვლის შემდეგ პერიოდში, ხუთივე მუნიციპალიტეტში გზის მოვლა-შენახვისათვის დეპარტამენტის მიერ ნაჩვენებია 68,640 კუბ.მ ქვიშა-ხრემის (ბალასტის) გამოყენება, თუმცა მის მოპოვებასთან დაკავშირებით შესაბამისი ნებართვები ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც წიაღისეულის ფაქტობრივად მოპოვების ან/და მასთან დაკავშირებით, არანაკლებ, 71,420 ლიტრი საწვავის ფაქტობრივად ხარჯვის რეალობა, რისკის შემცველია.

რეკომენდაცია N8: დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გამოიკვილოს წიაღისეულის მოპოვების, გამოყენების და მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების კანონშესაბამობის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად და სრულად გამოვლინდეს ხარვეზები და აღმოფხვრას წიაღისეულის კანონშესაბამოდ მოპოვების ან/და მასთან დაკავშირებით საწვავის არადანიშნულებით ხარჯვის შესაძლო რისკი.

აუდიტორთა ხელმოწერები

ნადიმ ბოლქვაძე

მთავარი აუდიტორი



მინდია ჯორთმენაძე

აუდიტორი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38